ხელშეკრულება №13/1722

„აუდიტორული მომსახურების“(CPV კოდი: 79212000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 28 თებერვალი 2017 წელი

ერთი მხრივ, შპს ბი ეს კონსალტინგი (შემდგომში - „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერიან ხვიჩიას სახით და მეორე მხრივ სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურისასწავლო ცენტრი (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი დირექტორის მაია ყიფშიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსრულებელსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მხრიდან აუდიტორული მომსახურების (2016 წლის ფინანსური აუდიტი) გაწევა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

3.1. დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს შემსრულებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება.

3.2. დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს წარუდგინოს მომსახურების გაწევისათვის საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. დამკვეთის მხრიდან აღნიშნული ვალდებულებების ნაწილობრივ ან არასრულად შესრულებისას შედეგებზე შემსრულებელს პასუხს არ აგებს.

3.4. შემსრულებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.5. შემსრულებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

3.6. შემსრულებელს უფლება აქვს, უარი განუცხადოს დამკვეთს ისეთი სახის მომსახურების გაწევაზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის პროფესიულ ეთიკას და ზღუდავს მისი პროფესიული ვალდებულებების შესრულებას ან წარმოშობს კონფლიქტს.

3.7. შემსრულებელს უფლება აქვს დამოუკიდებლად, დამკვეთის ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, მოაწყოს საკუთარი სამუშაო პროცესის ორგანიზაცია და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ხერხები და მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და ა.შ.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1700.00(ათასშვიდასი) ლარს.

4.2. ანარიშსწორება წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ მომსახურების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულება 4.1. პუნქტით განსაზღვრული თანხა წარმოადგენს მხოლოდ ანაზღაურებას შემსრულებლის მომსახურებისათვის. იმ დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა შემსრულებელს წარმოეშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას (დოკუმენტების ოფიციალური თარგმანების, აზომვითი ნახაზების, ფინანსური და იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების გარდა სხვა დამატებითი სერვისების, საფასურები) გადაწყვეტილებას იღებს დამკვეთი. აღნიშნული ხარჯების შესახებ დამკვეთი გაფრთხილებული უნდა იქნეს წინასწარ (არანაკლებ ერთი კვირით ადრე) და ხარჯის გაწევა მოხდება მხოლოდ მისი თანხმობის შეთხვევაში.

4.5. მომსახურების დასრულებისთანავე შემსრულებელსა და დამკვეთს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები. მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის 2016 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. ინსტიტუტი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდბულებების შესრულება.

6.2. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 5 დღისა, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.3. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის, როგორც

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

6.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 15 დღეზე მეტი დროით, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

7.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.4. თუ დამკვეთი უარს აცხადებს შემსრულებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული აუდიტორული დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდისაგან.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაწეული მომსახურების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2. ხელშეკრულებსი პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშკერულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, ხოლო შეთანმხების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

ვალერიან ხვიჩია	მაია ყიფშიძე
_____	_____
შპს ბი ეს კონსალტინგი **დირექტორი** მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ N41ა ბ N15 საიდენტიფიკაციო კოდი: 405145221 **მომსახურე ბანკი:** სს ბაზისბანკი **ბანკის კოდი:** CBASGE22 ა/ნ: GE13BS0000000083836156	სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი **დირექტორი** მის: ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ.№4 სახელმწიფო ხაზინა ს/კ №204579456; ტელ: 294 40 07;